სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 903
დამატების № 159
კვირა, 26 მაისი 1913 წ.

ზღვრამდ*)

დრამა-ზღაპარი 3 მოქმ. 6 სურათად.

კერპთა ქურუმთა ცხოვრებიდან.

(მოქმედება სწარმოებს არმაზის მთის მიდამოში, მეორე საუკუნეში).

მოქმედნი პირნი:

მეფარმაზ, ქურუმთ მთავარი.
იასე, პირველი ქურუმი.
მოასე, მეორე ,,
არამ, მესამე ,,
აფრე, მეოთხე ,,
ზადე, დიაკონი.
ნანა, პირველი მონა კერპთა.
ნუნუ, მეორე ,, ,,
მაია, პირველი მსახური, გამრდელი ნანასი.
ზორვა, მეორე მსახური ქალი.
გაი, მესამე ,, ,,
მნათე, კარის კაცი.
რევ, მეფე არშაკუნიანი.
გაგელი, სახლთ უხუცესი.
ძეა } სიზმრად.
ასუ }
სხივა, ვითა ადამიანის სხეული, სხივით მოცული.
მოზარე, მებუკე, ამალა და ჯარის კაცნი.

მოქმედება პირველი.

პირველი სურათი.

ნანას მღვიმევი, მგზავსი გამოქვაბულისა, ხოლო ოთხკუთხი: მარცხნით კარები, დაბალი და მუხისა, მარჯვნით ქვისავე საწოლი, ზედ სადა ლოგინი, რომელზედ-ცა წევს ნანა; ამა მხარესა რგვალი სანათური, საიდანაც მთვარის შუქი იპვრიტება; უკანა სადა კედელი. ბულბულის სტვენა, ნაკადულის ხმაურობა.

სურათი სიზრმისა: რული სიბნელე მღვიმეში; ნანა ზეზეა, და ფათურობს; მის წინ ირდვევა უკანა კედელი და წარმოუდგება ედემის ბაღი: უკან ხეივანი ვაზისა და მათ შორის აყვავებული ვარდის ბუჩქები; სულ ბოლოში კლდე, რომლის პირიდან გადმოჩუხჩუხებს წმინდა წყარო და იყოფა ორად მომდინარე, აქეთ-იქით ვარდის ბუჩქთა და ვაზების ძირასა; ბულბულთა სტვენა; შემდეგ სრული მზის სინათლით მოცული იქაურობა; ფრინველების მოძრაობა და მათი ჟივილ-ხივილი.

1.

ნ ა ნ ა.

ნანა. (ძილში ბორგავს მოუსვენრად) ია... ია-სე... იასე!..

ლაშქრად გაწვევა. ნახატი ვალერიან სიდომონ-ერისთავისა.
(ამ სურათის დედანი ორშაბათიდან გამოფენილი იქნება ჩვენს რედაქციაში. ნახვა შეიძლება ყოველ დღე, დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

2.

ნანა, ძეა, ასუ.

ნანა. (შეწუხებული) რა სიბნელეა... თუმცა-კი ვხედავ, ვითა გრძნობითა... ღმერთო მზისაო! შენ გამინათე... მომფინე, მზეო, შენი სხივები...

ძეა. (სრული სინათლე) სადა ხარ...

ნანა. (რა მოესმის ხმა, მისწრაფებით) მე...

ასუ. აქა ვარ, ცხოვრების სამოთხეში, სიცოცხლის წყაროს სათავესთანა...

ნანა. (გაშტერებით) ნეტარ...

ძეა. (შეხვდებიან წყაროსთან) შენ!..

ასუ. (ერთმანეთს გარდაეხვევიან) მე!..

ნანა. (კარგა ხნის შემდეგ) ნეტარ არიან...

ძეა. ჩემო, სიცოცხლის წყაროვ დაუშრეტელო...

ასუ. შენ, ჩემო ღმერთავ, ცხოვრებისაო...

ძეა. შენ, დედოფალო, ამა სამოთხის...

ასუ. შენ, ჩემო მეფევ კაცობრიობის...

ნანა. რა ბედნიერნი... ხოლო შიშველნი...

ძეა. შენ დაგენაცვლოს ყოველი..

ასუ. მომეკარ, მცივა... ხედავ? სხეული...

ძეა. გულში ჩაგირგავ... ეხლავ შეგმოსავ ვარდ-ყვავილებით...

ნანა. დასამშვენებლად?..

ასუ. მიმიკარ გულთან; მით მაგრძნობინე სითბო ნეტარი ..

ნანა. ვით მშობელ მიწას, ჩემის ღმერთისა, მზისაგან სხივი...

ძეა. თვით ზენას მოვწყვეტ ბრწყინვალე მზესა...

ნანა. როგორ, ჩემს ღმერთსა?!..

3.

ნანა, იასე.

ნანა. (ძეა და ასუ განუქრებიან თვალთაგან რა გადადგავს ნაბიჯსა, მოევლინება იასე) იასე!..

იასე. კერპ ზადენისა?!.. ნუ, ნუ იხვევ პირსა... რად ჩრდილავ მაგ მეტყველ სახეს, ვით მზე ბრწყინვალე ღრუბლიან დღესა?..

ნანა. წესია ესე... ჩვენ მამაკაცთან ქალები პირს ვიბურვიდეთ და, ვით მონანი...

იასე. მონანი?!.. წესია თვით მამაკაცთა შემოღებული და მთავართაგან ესე კანონით დაწესებული?!.. ხოლო ბუნების ჭეშმარიტება დავიწყებული?!.. არა! ვაჟი თუ ქალი სულიერ მუცლით, შობილ არიან, ბუნების დაკანონებით სწორნი არიან...

ნანა. ღმერთო მზისაო! ნუ თუ ეს სიზმარი...

იასე. ცხოვრება ჩვენი თვით სიზმარია... ხოლო ცხადლივ განცდა ხორციელია, სიზმრადკი სულიერი... მაგრამ ერთიც და მეორეც სიზრმად გონების სითამამეა, რაც ცხადლივ გულით დაფარულია...

ნანა. სიზმარი?.. მოძღვარო, მერე და გონება გულსა რათ ეურჩება?..

იასე. ეგ შედეგია არა ბუნებრივი კანონების მორჩილებისა.

ნანა. მაშ, რასაც გული გითხრობს და გერჯის...

იასე. იგივე არის საქმნელი... დაუტევარი, თუ არ დაინთხა, გაჰხეთქს ჭურჭელსა.

ნანა. იასე, რავქნა... მე... მე შენ მიყვარხარ...

იასე. აღზდექი, ნანა, ვითა ფხიზილი ამა ქვეყნადა... შეიხსენ ეგ საბურავი, აამოძრავე ეგ შენი გული ვაყუჩებული, ვითა ქალისა დამონებული და შემომხედე მეტყველის თვალით, ვით სხივმა მზისამ გაბრწყინებულმა...

ნანა. (უცბად მოიხსნის პირიდან თავშალს, ადგება და ცახცახით მიეკრობა იასეს) იასე, მიყვარხარ... მცივა... ხედავ, ვკანკალებ...

იასე. ეს ბუნებისა კანონია... როს ვარდი შეკოკრებული, დილის სინათლით გარემოცული, ელის მზის სხივსა, ათრთოლებული, რომ მიეი გული გარდაიშალოს, შიგ ჩაიკონოს, რათა საამო-ნეტარებითა გარდაიფურჩნოს...

4.

იგინივე, მეფარმაზ.

ნანა. მაგრამ... ღრუბელი?... შავი, ვით...

მეფარმ. (წამოადგება) რათ გავიწყდებათ კერპთა მოძღვრების წესნი და მთავართაგან კანონდებულნი...

5.

ნ ა ნ ა.

ნანა. (სიბნელე სიზმარი განქრება, იგივე მდგომარეობა ნანას მღვიმეევში) ია... იასე... (ნელ-ნელა დილის სინათლე შემოიფინება; ბულბულის სტვენა მისწყდება; იწყობა შაშვის გალობა, მერცხლის ჭიკჭიკი) ღმერთო მზისაო... (თვალებ გახელილი, პატარა ხნის შემდეგ გამორკვეული) სიზმარი... რა ტკბილი, მასთან რა მწარე იყო... ახ!... ღმერთო მზისაო!... ნუ თუ?!... არა, არა!...

*) მსხვერპლი, იხილე ვახუშტის ისტორია—ვახუშტის საქართველოს ისტორია გვერდი 52 და 60; ლექსიკონი ს. სულხ. ორბელიანისა გვერ. 112.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ ჯოჯუაძის დაკრძალვა.



ქვაშვეთის ეკლესიიდან გამოსვენება

6.

ნანა, მაია.

მაია. (შემოაღებს კარებს) დილა-მშვიდობა, მოძღვარო მზისა!

ნანა. შენ და მშვიდობა...

მაია. შენ, შვილო ნანა, რათა ხარ ეგრე ფერ-დაკარგული? არ ვარგა, შვილო, გულაღმა ძილი...

ნანა. არა...

მაია. უთუოდ, შვილო, სიზრმად ნახული...

ნანა. (პირს მოიბრუნებს) სიზმარი... სიზმარს ვირდგენდი... გამრდელო მაი! მითხარი, გამოცდილებით: რაც ძილში დაგსიზრმებია, ცხადლივაც ის აგხდენია?

მაია. ეგ დაცდაზეა, მნახველის გონება მახვილობაზე...

ნანა. გონების... მაგრამ, პირის ასახვევი, ვითა ლაგამი?... (ჩაეკვრება) ჩემო გამრდელო!... ერთი მითხარი: არის სიყვარული? შენ განგიცდია როდისმე იგი?...

მაია. ჩვენდა სიყვარული?!... (მიიხედავს კარებასაკენ) ეგ ხომ ნიშანია გრძნობა მხედველობისა... ჩვენ კი მაგისთვის გვაქვს (აჩვენებს მოსახვევზე) პირიც ამით აკრული...

ნანა. (მოიგლეჯს მოსახვევს) მაშ, რათ ამღზარდე, აბა ..

მაია. (შეშინებული მიიხედება, შემდეგ მოახვევს მოსახვევს) ნუ, შვილო... წესია... ვინც შესძლოს, მან დაარღვიოს... მე კი, განა შემეძლო შთამომავლობით მე მონობაში...

ნანა. (ვით დამორჩილებული) მერე, და ვინ შემოიღო?...

მაია. გამიგონია მთავარ მოძღვარმა...

ნანა. მერე, რომელმა?...

მაია. მეფარმაზს წინათ ქურუმთმთავარმა... ვითომც არმაზმა, ვით ღმერთმა, მან შთააგონა, ბებიაშენი როს მოიტაცა...

ნანა. ბებია ჩემი?.. მერე საიდგან?...

მაია. ბებია შენი, შვილო, ქალდეველთ ღმერთის მსახური იყო; ამბობენ, შვილო, მის სილამაზის ბადალი თურმე მხოლოდ მზე იყო. ჩვენს ღმერთსა არმაზს სურდა მსახურად იგი ჰყოლოდა; და რომ ქალდელთა ღმერთის მოძღვარმა არ დაანება, მთავარქურუმ იგი მოსტაცა. ხოლო, ბებიაშენი გზაში ეურჩა; და, აი, მისთვის თავშალით პირი აუკრა და შეუბღარა. შემდეგ მანვე ცოლად დაისო

ნანა. მერე, და ძალით დაიმორჩილა?!

მაია. დაიმორჩილა... შემდეგ მან წესად დასდო მეფისა დაკანონებით, რომ მზისა ღმერთის მონამსახური ცოლად შაერთოს ქურუმთა მთავარს...

ნანა. როგორ, მაშ, კანონი არის...

მაია. დედაშენიც ამავე წესით...

ნანა. როგორ! კანონი ჩემს უნებურად... აი, იმ გონჯზე..

მაია. ჰო, შვილო... დღეს გისრულდება დღე ასაკობისა.. გუშინ მომკითხა თვით მეფარმაზმა ეს ანგარიში... და გადასწყვიტა, რომ იქორწინოს სიხარულითა...

ნანა. როგორ, მან იქორწინოს?!... გავხედე მის ცოლი... იმ მახინჯისა?!... უწინამაც დღე დამელიოს...

მაია. რას იზავ, შვილო!... ასეთი წესი კანონია...

ნანა. არა, ტ არა!.. ჩემო გამრდელო! მე, მე ის არ მიყვარს..

მაია. (შეშინებული) შვილო, მოძღვარო მზისა, მაგისთვის, გმართებს მოთმენა...

ნანა. არა, და არა... გამრდელო მაი, ხომ შეიძლება: მე შევევედრო თვით ღმერთ არმაზსა?... იქნებ მან შემიწყნაროს, რომ იგი არ მიყვარს... და ეგებ მას შთააგონოს...

მაია. არმაზი?!... მერე და განა შეგისმენს იგი?... ბევრი დაღვრილა მის წინა, შვილო, მაგგვარი ცრემლი... მაგრამ კერპია, მას ქვის გული აქვს... თვით, ვით რკინისა, ულმობელია.. და ამისთანას განა გრძნობა აქვს?...

ნანა. მაშ, რა ვქნა მაი!.. როგორ, მაშ როგორ, ჩემო გამრდელო! მე ჩემსა გრძნობას და ამ გულის თქმას...

მაია. (ამ დროს მოისმის ყრუდ მძლავრი თითბრის ლასტის ხმა, რაზედაც ნანა შეკრთება; ხოლო მაია, ვით გამოცდილი) ეს ნიშანია...

ხმა გარედგან. ნებითა ღმერთთა დღეს ნადიმია. ზნე ჩვეულება ღმერთა დადებულ და მეფეთაგან დადასტურებულ დღეს ასრულდება: მოძღვარი მზისა შეერთვის ცოლად ქურუმთა მთავარს.

ნანა. როგორ, ძალითა!? არა! უწინამც ნანას მზე თვისი ღმერთისა დაჰბნელებია...

ფ ა რ დ ა.

მეორე სურათი.

კერპთა ბაღი. უკან ტაძარი არმაზისა; ტაძარსავე სიგანეზე ხუთი ფართე საფეხურია, ხოლო ძირის საფეხურიდან მოზრდილი სვეტები, რაზედაც არის ქვის სახურავი კარების სიგანეზე და გადათაღული ტაძრის კარების სვეტებამდე; კარები მუხისაა, რაზედაც ამოჭრილია ღმერთების სახე შეიარაღებულთა; კარები იღება შიგნით; ზემოთა საფეხურის მოედანზე სვეტების წინ ღმერთები: ზადენისა და ეფროსისა; ხოლო მეორე საფეხურის მოედანზე აქეთა და იქით აღმართულია ქანდაკებანი ღმერთთა გაცისა და გაიმისა, ზადენი მიწის ფერისაა, ეფროსი—ლურჯისა, გაცი ყვითელი, ვით ოქრო და გაიმი თეთრი. ზადენს და ეფროს წინ უდგია ფართე შანდლები, საიდანაც ღვივის გაუქრობელი ცეცხლი.

დილაა; ფრინვლების ხმაურობა, შორიდან მოისმის მესტვირის წყნარი ხმა. ბავშვების გალობა დილის ლოცვისა! „დიდება ღმერთთა"...

1.

მ ნ ა თ ე.

მნათე. (უსიტყვოდ, მოწიწებით ავა კიბეებზე, ზეთს მიუმატებს შანდლებს: შემდეგ მუხლს იყრის კარების წინ და ხელებ აპყრობილი ლოცულობს. სამჯერ კარების რაკუნი მოისმის; მძიმედ ჩამოვა და გავა კარების გასაღებად).

2.

რევ, გაგელ.

მზედრის ტანსაცმელში არიან. გრძელ კომბლებს მიაყუდებენ ხეზედა. მივლენ, ჯერ ძირის საფეხურთან მუხლს იდრეკენ; შემდეგ რევი მაღლა ადის, მას მიჰყვება გაგელი, მუხლს იყრის ტაძრის კარების წინ, მაღლა ხელების აპყრობით ლოცულობს; კარგა ხნის შემდეგ წამოდგება, თავის მოხრით აქეთა და იქითა ღმერთებისკენ ხელებ აპყრობილი მობრუნდება კარებისაკენ.

რევ. არმაზ, ღმერთო ქართველისაო, მპყრობელო, გამგე ცისა და დედამიწისაო! იყავ მფარველი ჩემის ქვეყნისა. მოეცი შვება... (თავ-ჩაღუნული დაბრუნდება და ჩამოჯდება გადაჭრილ ხეზედა) გაგელ, ჩამოჯექ...

გაგელ. რა მიჭირს, ასედაც ვახლდე ჩემსა მეფესა.

რევ. რაში მეტყობა... განა ამ გვარად ჩვენ არ გვეტყობა თანასწორობა?

გაგელ. არა საცმელით, არამედ მოქმედებითა კაცი იცნობა...

რევ. ჩემო გაგელ, ხშირად ადამიანის გარეგნობა გვიპყრობს:

არჩილ ჯოჯუაძის დაკრძალვა.

ქვაშვეთის ეკლესიის წინ.

გაგელ. ეგ ხომ ქალების სისუსტეა.

რევ. ქალების?!.. არა, ქალი, არც ისეთია, როგორიც ჩვენა გვგონია. იგი როგორც ბუნებითაა ნაზი, ისევე გულითაა ფაქიზი... ვითა ადამიანი, ყურადღებისა ღირსია...

გაგელ. ბოდიში!.. ეს დედოფალს არ შაეხება; იგი იშვიათი ქალია.

რევ. დედოფალს?!.. არა! არა...

გაგელ. მეფევ! ვბედავ და გკითხავ: რაღაც გაწუხებს... გკადრებ! გულს იარა გაქვს დაწყლულებული... თავის დროს თუ არ იქმნა გაკურნებული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევ. მერე მკურნალი?.. და მისი მპკურებელი?..

გაგელ. ნუ თუ არ ძალმიძს მეფისათვის...

რევ. მეფისათვის?!.. და არა მეგობრისათვის...

გაგელ. მეფევ! მაგით მე მაწყეინებთ...



კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი.
მისი მომავალი კონცერტების გამო ტფილისში.

რევ. არა, ჩემო გაგელ!.. ერი კი არა უნდა იყოს მეფისთვის, არამედ მეფე ერისთვის... აი, რას მასწავლიდა მამაჩემი, როდესაც აქა მგზავნიდა...

გაგელ. მაგრამ თუ მეფეს გული...

რევ. დაკოდილი აქვს?!.. თუ მამაჩემა არ შემიბრალა... მიზეზი ამა გულისა... სიყრმით საუნჯე შეაგდო ტყეში ნადირთა კერძად... ხოლო მისი ყრმა გამოუგზავნა ზორვად არმაზსა...

გაგელ. ჩვენს ღმერთსა არმაზს?..

რევ. მაგრამ, რა არის, ვთქვათ, შვილიშვილი... როდესაც მამა თავის პირმშო შვილს ზორვადა სწირავს და, ვითა ნადირს, თვითვე ყელსა სჭრის არმაზის შესაწირავად... ჰოი, ღმერთებო, როდის მოლბება ეგ თქვენი გული... როდის იკმარებთ უმანკოთა სისხლსა, რომ აამეტყველოთ ეგ ენა დადუმებული...

3.

იგინივე, მნათე, ზორვა.

მნათე. (გამოჰყავს ზორვა, დაანახვებს რევს, ხეს მოეფარებიან).

გაგელ. მიბძანე, მეფევ! სადაც იქნება, მოვსძებნი...

რევ. მხოლოდ-ღა სულსა?..

გაგელ. თვით მის მშობელსა... ვფიცავ, არ დავიზოგავ...

რევ. მჯერა, ვიცი ვაჟკაცსა ეძრახვის, იგივ მეგობარს არ ექვის... არა, ჩემო გაგელ, თუნდ მოიძებნოს, რისთვის?..

გაგელ. იგი იხილოთ... მით განიკურნოთ...

რევ. დედოფალი? იგი ერმა მოიხმო, დედოფლად მანვე გამოაცხადა... იქნება გგონია: მეფე ვარ უფლებით აღჭურვილი?.. არა, ჩემო გაგელ, სახლთ უხუცესო! ეს ჩემი გული მე აღარ მეკუთვნის.. (წამოდგება წასასვლელადა) სასწორი მწონელს უნდა სწორედ ეჭიროს. მე ვარ მეფე ამა ერისა და, ვით მთავარმა კანონმდებელმა, უნდა ვაძლიო მით მაგალითი....

გაგელ. მაგრამ...

რევ. ეხლა კი დროა მივხედოთ სასახლეში...

4.

მნათე, ზორვა.

მნათე. (წინ წამოვლენ, ეტყვის და კარების ჩასაკეტად გავა) ხომ გაიგონე?...

5.

ზ ო რ ვ ა.

ზორვა. ქართველთ ღმერთებო, ნუ, ნუ მოისურვებთ ჩემის შვილის სისხლსა...

6.

იგინივე, მოზარე.

მოზარე. (გამოვა ტაძრის კარიდგან. აახმაურებს თითბრის სინს და შემდეგ ისევ შებრუნდება).

7.

ზორვა, გაი, მაი, აფრე. ზადე, არამ, ნანა, ნუნუ.

ერთის მხრით პირ ახვეული, ქალები; მეორე მხრივ კიბესთან ხელაპყრობილი მამაკაცები ლოცულობენ. ამ დროს ტაძრიდგან მოისმის სინის ხმა ერთხელ. ნანა და ნუნუ ავლენ, სვეტებ შუა მუხლის მოყრით ხელებ აპყრობილი გაჩერდებიან: ნანა ზადენის წინ; ხოლო ნუნუ—გაცის წინა; დანარჩენი ქალები ამათ მხარეს კიბის საფეხურებზე; მამაკაცები კი მეორე მხარეს. ქალების მხრით ზოგიერთნი ქვითინს აყოლებენ ბავშვთა ხმაზე; ხოლო მამაკაცები ღაღადიან გალობენ. კარები გაიღება და გამოჩნდება: ტაძრის შუა ღმერთი არმაზი თვალებ გაბჭყვრიალებული, მის უკან მოსჩანს ალი. ვითა თონიდგან; წინ ხელებ აპყრობილი სდგას მეფარმაზი, მარჯვნით და მარცხნივ: იასე და მოასე. პატარა ხანს გალობა შესწყდება, გაისმის ოჯერ სინის ხმა, მამაკაცნი შევლენ ტაძარში, მუხლს მოიყრიან და, რა მოგბრუნდება მათკენ მეფარმაზი ქათდა დასალოცავად, გაისმება გალობა იმავე კილოთი; სამჯერ სინის დაკვრის შემდეგ ისევ გამოვლენ.

8.

იგინივე, მეფარმაზ, იასე, მოასე.

მეფარმაზ. ნება ჩვენის მთავარ ღმერთისა, ძლიერი არმაზისა, დღეს აღსრულდება: ნანა მოძღვარი, ვითა მონა მზისით ღმერთისა, წარსდგება წინა ძლიერი არმაზისა; მიიღებს მისგან ნებითა კურთხვას, რათა ეცოლოს მთავარ ღმერთების მოძღვარს...

ნანა. მე... მე...

მეფარმაზ. შენ დღეს დაგიდგა წუთი ბედისა. ნანა, შენ, ქალსა, ვით ქალთ უღირსთა შორის, მოგეცა ნება ტაძრად შესვლისა და ღმერთ არმაზის უზორვად მისი ამბორი...

ნანა. მე... მე უზორვად?... არა...

მეფარმაზ. დროა, მოხვიდე და ეამბორო მთავარ ღმერთს არმაზს მოწიწებითა.

ნანა. მე... (მუხლის თავზე დაეცემა ღმერთი ზადენის წინ) ღმერთო მზისაო, შენ გამინათე მე კვალი გულისა... ნუ ნუ დამიბნელებ გონებას...

მეფარმაზ. ნუ დააგვიანებ... მით არმაზს ნუ გაარისხებ...

ნანა. არა, არა, მე არ ძალმიძს... მუხლი მეკვეთება და გული მითრთის...

იასე. ვგონებ, იგი უქეიფოდ არის...

მოასე. ეგ არაფერია, რა წარსდგავს ნაბიჯს, ლონეც მოეკრიფება.

იასე. (შეამჩნევს, ნანა ტორტმანებს) ნანა თავს ვერ იმაგრებს... მაი, მიხედე... მთავარ მოძღვარო, სჯობს ხვალისათვის გადასდო...

მეფარმაზ. ზნე-ჩვეულებით დღეს უნდა მოჰხდეს.

იასე. რა უშავს მერე ხვალისთვისა...

მოასე. მით დაირღვევა წესი ღმერთებისა, რაც არ არის კარგი მლოცველისათვის.

იასე. ხვალ იყოს; სალოცავადაც ხვალინდელი დღე გამოცხადდება.

მეფარმაზ. იასე!... ნანა! მოძღვარო მზისა, გელის არმაზი მთავარი ღმერთი ქართველებისა.

ნანა. (თავჩაღუნული წამოვა. მაის რჩევით და დარიგებით. ცოტახანს კარებში გაჩერდება; მუხლთა კვეთებით შევა და დაეცემა არმაზის წინა. წყნარი გალობა. კარგა ხანს ქვითინებს; შემდეგ ხელებ აპყრობილი) ღმერთო არმაზო! ძლიერო, ყოვლისა მძლეო! გთხოვ, ეს ჩემი გული დაიპყრო და დაიმონო... გემუდარები, ჩემი გონება დაახშო... ეს ჩემი სული შეხუთო... გაჩერდი გულო...

მეფარმაზ. ნანა, მოძღვარო მზისა, ქალს ეღგრძალება...

ნანა. (წამოდგება) როგორ, ლოცვასაც მიშლით?...

იასე. მთავარ მოძღვარო! გული მლოცველთა თანასწორია...

ნანა. (შეხედავს, შეამჩნევს, არმაზის მნათობ თვალებსა) რაო, რატომ არ გამიყუჩებ ჩემს, ამა ჩემს გულსა სხვისთვის ანა-

წერა-კითხვის საზ. თელავის სკოლის მოსწავლენი საექსკურსოდ.

ძგერალსა?.. არა და არა... ხომ ხედავ, შენს ძალას ეს ჩემი გული არ ემორჩილება... თუ ხარ ღმერთი, გამიყუჩე...

იასე. ღმერთო!.. დაუტევარი, თუ არ დაინთხა, გაჰხეთქს ჭურჭელსა...

ნანა. (მოიგლეჯს მოსახვევს) დიახ! კმარა!.. მე მეფარმაზს ცოლად, არა და არა...

იასე. (მივარდება დასამშვიდებლად) მოძღვარო მზისა!.. ნანა...

მეფარმაზი. არმაზი ზორვადს თხოულობს... აიყვანეთ ბნელაში...

ნანა. მირჩევნიან ცეცხლში დავიწვა, ვიდრე შენ გონჯსა, ცოლად დავესვა...

იასე. დამშვიდდი, ნანა...

ნანა. იასე...

მეფარმაზ. წაიყვანეთ ბნელაში!..

ფ ა რ დ ა.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ო რ ე.

პირველი სურათი.

ქართული დიდი დარბაზი: შუაში ოთხი დიდი სვეტი, რაზედაც დამყარებულია ჰერის თაღი. შუაში მოსჩანს გუმბათები; შენობა დაჩუქურთმებულ ნათალი ქვისაა, სვეტები წარმოადგენენ ადამიანის სახეებსა; უკანა სვეტების წინ ამაღლებულად, რამდენიმე საფეხურით სდგას სავარძლები: მეფისათვის და მეფარმაზისათვის; ხოლო წინა სვეტების წინ მაღლობზე დაიდგმება: ერთის მხრით არმაზი, მეორეს მხრით ზადენი. სვეტებ შუა სდგას გრძელი მაგიდა. და გარს სავარძლები. შუა დღეა. მზის სხივები ზევიდან მაგიდას დასთამაშებენ.

1.

მ ნ ა თ ე.

მნათე. (თითბრის სინის ხშირი რაკუნი) მოაბძანებენ ჩვენ ღმერთებს (გაისმის გალობა „დიდება ღმერთთა“... (მუხლს იდრეკს, ხელებ აპყრობით) დიდება თქვენდა, ღმერთებო!.. ძლიერო, ჩვენო, არმაზო! მოიღე ნანაზედ მოწყალე თვალი...

2.

მნათე, ორი მსახური, მეფე, მეფარმაზ, იასე, მოასე, არამ, აფრე, გაგელ, ზადე, ღმერთები: არმაზ, ზადენ. წყნარად მხრებზე საკაცით შემოიტანენ ღმერთებს და დასდგამენ თავთავის ადგილს მეფარმაზის მეთაურობით. გალობა და სინის რაკუნი შეჩერდება, რა ღმერთები დაბინავდებიან. ყველა თავთავის ადგილას დაჯდებიან და მეფარმაზიც მაგიდის თავში სავარძელთან მივა, მნათეს მიმართავს.

მეფარმაზ. მნათეს ნიშანი სამსჯავროის დაწყებისა...

3.

მეფე, მეფარმაზ. იასე, მოასე, არამ, აფრე, მნათე.

მეფარმაზ. (სამჯერ გაისმის სინის ხმა. კარებში დადგება მნათე) ნებითა ჩვენის ღმერთების, თანადასწრებით ჩვენდა ქართველთა მეფის, იწყება განსჯა მზისა ღმერთისა მოძღვარ ნანასი... მოძღვართ სამსჯავროვ! ჩვენი ძლიერი ღმერთი არმაზი მოითხოვს, რომ დაისაჯოს მოძღვარი მონა ნანაი... მან არა თუ, ვით ქალმა, არამედ მასთან მოძღვარმა გაჰბედა... მან დაარღვია ჩვენის ღმერთების ზნენი და ჩვეულებანი... საჭიროა იგი ხალხის წინაშე სამაგალითოდ დაისაჯოს, რათა შიში და მოკრძალება ქალებსა შორის აღარ დაირღვეს და შეურყევლად ღმერთთა ზნე-ჩვეულება მონათა შორის დამკვიდრდეს...

მოასე. საჭიროა ნანა, მაგ ურჩობისთვის, თვით არამაზისა ცეცხლში ჩაიწვას...

იასე. მსაჯულთა ნებას მოვითხოვ (გაჩუმდებიან) შეხედეთ მზის სხივს, რა რიგად ჩამოჭვრეტილა... მაგრამ ღრუბელი, ვით ავი სული, თუ მას, აი, ეხლა გადაეფარებოდა ველარ შევძლებდით ერთმანეთის ხილვას.

მეფარმაზ. მაშინ სანათსა აქ ვუბძანებდი...

იასე. დიახაც... თუ ღრუბელი მზეს ეფარება... წარმოვიდგინოთ: სუსტი, ნაზი ქმნილებაა... ნანა ქალია, ხომ შესაძლოა იმის გონებას რაიმე გადაეფარა... ჩვენ არც ის ვიცით, შეიძლება ის ეხლა სინანულშია... ამისათვის ვითხოვ: მოვიხმოთ ნანა და შევეკითხოთ...

მეფარმაზ. მე...

მოასე. მაგრამ, აქ სამსჯავროში, ვით ქალს, არ შემოესვლება.

არამ. ეს კანონია...

იასე. მაგრამ თუ მეფე...

მეფე. მე ვაძლევ ნებას მოძღვარსა ნანას.

მეფარმაზ. მნათე! მოძღვარსა ნანას აქ იხმობს მეფე.

4.

იგინივე, ნანა.

მეფე. მე, ვით მეფე, მას დავარიგებ და მონანების კვალს დავაყენებ... (ნანა, პირ ახვეული, თავჩაღუნული მოწიწებით შემოვა და უკან გაჩერდება) მოძღვარო ნანა!..

ნანა. (უცბად წამოვა წინ და მეფის წინ მუხლ-მოდრეკილი დაეცემა) მეფევ, კეთილო...

მეფე. მოძღვარო ნანა! გმართებს სიმშვიდე... მოთმინებითა ზნე-ჩვეულებას დაემორჩილე... შენ მოძღვარი ხარ და მით მოქმედებით შენის ხალხისთვის სამაგალითო ხარ...

ნანა. რავქნა, კეთილო მეფევ, რომ ჩემი გული, ამა გონებას ეურჩება, არ ეთანხმება.

აფრე. (არამს) მეფეს როგორა ჰკადრებს, დიაცი ესაუბრება...

მეფე. ეგ გამრდელის ბრალია... ვერ აღუზდიხარ მორჩილებაში... კარგია კმარა... აღზდექი ეხლა და სამჯავროს წინ მოინანიე...

ნანა. (ადგება, თავ-ჩაღუნული მივა, სამჯავროს წინაშე) მე, ვით მოძღვარი... ნანა ვე-მორჩი-ლები... და სი-ხა... სი...

მეფარმაზ. სთქვი, სთქვი ნანა...

ნანა. (ამ ხმის გაგონებაზე უცბად შესდგება, შეხედავს იასეს) არა... არ შემიძლიან... კეთილო მეფევ, გთხოვ ეს გული... მკერდი, მკერდი გამიპეთ ღ ამომგლიჯეთ ჯიუტი გული...

არამ. როგორა ჰბედავს დიაცი ქალის გულის ხსენებას...

აფრე. მას ასახვევი ფართეთ ჰქონია...

მოასე. შანთითა ენა მისი დასადაღია.

მეფარმაზ. არა, მთლად თავის გულით სამაგალითოდ უნდა დაიწვას...

იასე. ნუ თუ მოძღვართ სამსჯავრო ამას უკვე სწყვეტს?..

მეფარმაზ. გადასწყვეტს და მეფეც დაადასტურებს...

მეფე. მეფე არ სჩქაროობს... სანამა ნანა გულს არ მოიბრუნებს...

იასე. გული... მეფევ ძლიერო, სამართლიანო! თქვენ ქართველთ ღმერთების მოძღვარ სამსჯავროს წევრნო! განა გული კენჭია ქვისა, რომ სადაც ვის უნდა იქ გადისროლო?.. გული ქალისა თუ მამაკაცის, განა რითიმე ის განსხვავდება? გულით საზრდოობს ჩვენი სხეული და თვით გონებაც მასზეა დამყარებული... რა ჰქნას გონებამ, თუ გული მას არ ეთანხმება... ქურუმნო ღმერთთა? განა შესძლებთ თქვენ მზისა სხივების ხელში დაჭერას და დაკავებას?..

მეფარმაზ. იასე, შენ მეტად გაკადნიერდი!..

მეფე. დაე ღალადჰყოს ქეშმარიტება...

იასე. განა და თქვენ, თქვენის ბძანებით შესძლებთ ღრუბლების ამოძრავებას? განა თქვენ შესძლებთ მბრწყინვალე მზის სხივთა ჩაქრობას?.. მას შეიძლება შავი ღრუბელი გადაეფაროს და აქ დედამიწის სიბნელე მიმოეფინოს... მაგრამ როდემდის?! რა დედა-მიწა თავისუფლად ამოისუნთქავს, ამა ნიავით შავსა ღრუბლებსა გარს მიმოფანტავს და მზე მბრწყინვალე სიამოვნებით გულს აგვიტოკავს... ზნე ჩვეულება და კანონები?.. ეს ხომა ცვალებადია... დრო იყო, როს ქართველები თავიანთ მკვდრებს, კი არ მარხვიდნენ, არამედ სჭამდნენ და მეზობლებსაც უნაწილებდნენ. მაგრამ, იკურთხოს მაკედონელი ალექსანდრეი, მოვიდა იგი და, რა დაიპყრო, მკვდრებისა ჭამა ჩვენ და წინაპართ მიერ უარჰყო და აღუკრძალა... და, აი, ეხლა აბა როდისმე ჭირისუფალთა გაუხსენევით, ვგონებ დაიწვნენ წარსულ სირცხვილით...

მეფე. მაკედონელი ალექსანდრეი... დიაღაც, ის დიდებული, ძლიერი იყო...

მეფარმაზ. (მოასეს) ვგონებ დროა არის, თორემ მოხიბლა ჩვენი მეფე...

მოასე. ჩვენო ღმერთებო, ჩემი სიზმარი...

იასე. ღმერთები... ღმერთისა ნებით...

მოასე. (წამოვარდება) გაგვიწყრა ღმერთი, ჩვენი არმაზი... საუბედურო ჩემი სიზმარი ამიხდა დღესა...

მეფარმაზ. როგორ!.. რას ამბობ...

მოასე. ვითომც ჩვენს ღმერთსა, დიდსა არმაზსა მნათე თვალები დაბრმავებოდა... და ჩვენგან იგი ზორვადს ითხოვდა...

მეფარმაზ. (ყველანი მივლენ, რა იხილვენ თვალებს გაუნათლებლებს მუხლის თავებზე არმაზის წინ დაეცემიან) რას ნიშნავს ღმერთო, ძლიერო არმაზ, შენი სიბრმავე...

მოასე. ზორვადს, ზორვადს თხოულობს... აი, ეხლა მე მომაგონდა რაც მან სიზმარში მითხრა: „სანამ დამრღვეველს არ შევიწირავ მე ამ თვალებსა არ გავახილავ... და თუ უარჰყვეს? სიბნელით მოვიცვამ აქაურობასა...

მეფე. (ლოცვით) ღმერთო, არმაზო, ნუ, ნუ შემრისხავ...

იასე. როგორ, უსულო სულიერს მსხვერპლად თხოულობს? . მერე და მაგას, რომ გული ჰქონდეს ადამიანის, განა სიცოცხლეს მსხვერპლად მოითხოვს?..

მეფარმაზ. (განრისხებით) იასე ღმერთა წინააღმდეგია?!..

იასე. არა ღმერთთა, არამედ კერპთა...

მეფარმაზ. მნათე! იასე ბნელაში...

იასე. განა ეხლა-კი გარს სიბნელე არ მახვევია?..

ნანა. იასე!

იასე. ნანა!..

ფ ა რ დ ა.

(შემდეგი იქნება)

ს. გლახაშვილი.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“. რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.